შემოსავლების
სამსახური

ბრძანება №11321

10. 07. 2012 წელი

მინის წარმოებისას საწარმოო დანაკარგის დამტკიცების შესახებ

„ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 აპრილის №845 განკარგულების მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამართალის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მინის წარმოებაში საწარმოო დანაკარგი (ხურებითი დანაკარგი) განისაზღვროს წარმოებაში ჩაშვებული კაზმის 17%-ს ოდენობით.

2. მინის წარმოებაში გამოყენებული კვარც-მინდვრიშპატური ქვიშის ბუნებრივი დანაკარგი (ტენიანობა) განისაზღვროს 7%-ს ოდენობით.

3. მინის წარმოებაში გამოყენებული დოლომიტის ბუნებრივი დანაკარგი (ტენიანობა) განისაზღვროს 3%-ს ოდენობით.

4. მინის წარმოებაში გამოყენებული კირქვის ბუნებრივი დანაკარგი (ტენიანობა) განისაზღვროს 1% ს ოდენობით.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მინის წარმოებისას საწარმოო დანაკარგის დამტკიცების შესახებ" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 29 ივნისის №3373 ბრძანება.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი ჯამბულ ებანოიძე